ახლადშეუღლებულები
ლუკა ციხისთავი და ნინა გუჩმაზაშვილი
1927 წელი თბილისი საქართველო

ლუკა იოსების ძე ციხისთავი

(1901-1976)

1924 წელს ლავრენტი ბერიას ხელდასმით დააპატიმრეს კონტრრევოლუციური საქმიანობისათვის.
1 წელი მან მეტეხის ციხეში (თბილისი, საქართველო) გაატარა.
1937-1957 წლებში ლუკა ციხისთავი იოსებ ჯუღაშვილის (სტალინი) პოლიტპატიმარია.
20 წელი მან საბჭოთა საპატიმროებსა და გულაგის ლაგერებში (ციმბირი, რუსეთი; ყარაგანდა, ყაზახეთი) მოიხადა.

„წერილები ოჯახს 1937-1957 ლუკა ციხისთავი“, 2011 წელი.

2011 წელს ლუკას წერილები წიგნად გამოქვეყნდა სათაურით *„წერილები ოჯახს, 1937-1957, ლუკა ციხისთავი“.* წიგნის რედაქტორი: ნინო ციხისთავი-ხუციშვილი. წიგნის გამომცემელი: გიორგი ხუციშვილი. წიგნი შეადგინეს ლუკა ციხისთავის შვილიშვილებმა: ნანა ციხისთავი, ნინო ციხისთავი-ხუციშვილი, თამარ ციხისთავი. წიგნში წარმოადგენილია დოკუმენტური მასალა, რომელიც მოიცავს სტალინის გულაგის ლაგერებიდან გამოგზავნილ და ჩვენამდე მოღწეულ 59 წერილს. ასევე, წიგნში წარმოდგენილია არქივის მასალა: ტროიკას განაჩენი, სხვა დოკუმენტები. წიგნის ელ.ვერსია ხელმისაწვდომია: http://iccn.ge/index.php?article_id=228&clang=0

ლუკა ციხისთავის განვლილი გზა საინტერესო და მნიშვნელოვანია სამომავლო შესწავლისათვის, რადგან ლუკას მხრებზე გადაიარა მისი სამშობლოს ისტორიის მძიმე, კრიტიკულმა მოვლენებმა, რომელთაც, წარუშლელი დაღი დაასვეს ლუკასა და მისი ოჯახის ცხოვრებას. ლუკას არქივი მდიდარია მისი ხელნაწერი წიგნებით, რომელთაც, გარემოებათა გამო, ჯერ მზის სინათლე არ უნახავთ. სამომავლოდ, იგეგმება ლუკა ციხისთავის ხელნაწერთა სრულად გამოქვეყნება. იმედი მაქვს, ღმერთი მოგვცემს ამ საქმის ღირსეულად დაგვირგვინების ძალას.

სიყვარულით, ლუკა პაპისა და ნინა დიდედას, მშობლების: ირაკლი და ჟანა ციხისთავების მადლიერი შთამომავლები.

ნინო ციხისთავი-ხუციშვილი,
23 ივლისი, 2019 წელი,
თბილისი, საქართველო.